# 87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №16 {7021} 17 აგვისტო 2020 წელი ● www. Terjola. gov. ge

## საქართველოს მთავრობის ახალი დახმარებები პოსტკრიზისულ პერიოდში

***მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემდგომი - III ეტაპი შეიმუშავა:***

—StopCov ფონდში საქართველოს მოქალაქეებთან, ბიძინა ივანიშვილთან და ბიზნესთან ერთად ფინანსების მობილიზების შედეგად, ოჯახების და მათი შვილების დასახმარებლად შემუშავებულია ახალი სოციალური პაკეტი - 17 წლის ასაკის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე გაიცემა 200-ლარიანი დახმარება. რეგისტრაცია ინტერნეტ ქსელის საშუალებით 15 აგვისტოდან დაიწყება, თანხები კი მშობლებს 1-15 სექტემბერს ჩაერიცხებათ.







—კომუნალური გადასახადების მხარდაჭერის პროგრამა გაგრძელდება ზამთარშიც - 4 თვის განმავლობაში - ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. დაფინანსებას მიიღებს ყველა ის ოჯახი, რომელიც მოიხმარს 200 კვ. საათამდე ელექტროენერგიას და 200 მ3-მდე ბუნებრივ აირს.

—80 000-მდე თვითდასაქმებულს, ვინც ვერ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია, მაინც მიიღებს 300-ლარიან კომპენსაციას სექტემბრის დასაწყისამდე (170 000-ზე მეტმა თვითდასაქმებულმა დახმარება უკვე მიიღო).

—150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სტუდენტებს დაუფინანსდებათ ნახევარი წლის (2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 1125 ლარი, ხოლო 150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ 1 წლის (2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 2250 ლარი.

## შეხვედრა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატთან ბეჟან წაქაძესთან...



*13 აგვისტოს, ქ. თერჯოლაში, ტრადიციული შეკრებების ადგილზე—ბაღში, თეატრონთან, დეპუტატობის კანდიდატთან შესახვედრად მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი.* ☞2

## გაზეთი და არჩევნები

☞2

## პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს

☞2

## სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან განახლდება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ამჟამად არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სასწავლო პროცესი როგორც სკოლებში, ისე უნივერსიტეტებში 15 სექტემბრიდან ჩვეულ რეჟიმში, საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში განახლდება.



## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

☞2

## ლაშა გოგიაშვილი: „ცხოვრებაში ყველა წვრილმანის საჭიროება მნიშვნელოვანია...“

*„თერჯოლის“ წინა ნომერში, გაზეთის მკითხველს დავპირდით, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, ლაშა გოგიაშვილთან ჩვენი ინტერვიუს მეორე ნაწილს, 17 აგვისტოს ნომერში შევთავაზებდით, რასაც აქვე წარმოგიდგენთ.*

*როგორც ადრე ვწერდით, ინტერვიუს ეს ნაწილი ასახავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური პროგრამების განხორციელების მიმდინარეობის მდგომარეობას.*

☞3,4



## გილოცავთ!

19 აგვისტო — ფერისცვალება

28 აგვისტო — მარიამობა

# გაზეთი და არჩევნები

სტატია გვინდა ცნობილი ადამიანების გამონათქვამებით დავიწყოთ, რაც მათ გაზეთის რაობაზე აქვთ ნათქვამი

**„10 გაზეთი მირჩენია 100 გენერალს“—ნაპოლეონი.**

**„სჯობს 1 დოლარი ჩადო პრესაში, მედიაში, ვიდრე 10 ათასი იარაღში“—რიჩარდ ნიქსონი.**

პრესის რაობაზე სხვა არაერთი გამონათქვამებიც არსებობს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამჟამად ჩვენი მიზანი იმის ილუსტრირებაა, თუ რა როლი აკისრია გაზეთს საერთოდ და განსაკუთრებით ადგილობრივი, საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როგორ უნდა მოამზადოს ნიადაგი საიმისოდ, რომ მაღალი აქტივობა იქნას მიღწეული.

ვიდრე დღევანდელი საპარლამენტო საარჩევნო კამპანია, რეგლამენტირებულ საკანონმდებლო მოთხოვნების ფაზაში გადავიდოდეს, ჩვენმა გაზეთმა უკვე დაიწყო ამ მნიშვნელოვანი თემით მოსახლეობის ინფორმირება. ასევე უკვე მეორე ნომერია ვაქვეყნებთ თერჯოლის საარჩევნო ოლქის საზღვრებს.

საარჩევნო პროცესის გაშუქების დროს ინფორმაცია და პუბლიცისტიკა იქნება რედაქციის ჟურნალისტების განსაკუთრებული სფერო, ხოლო რეკლამა და პრობაგანდა მთელი რედკოლეგიის და გამომცემლობის.

კომუნიკაციების, ეროვნული სააგენტოს მიერ სპეციალურად გაწერილი მოთხოვნების მიხედვით გაზეთმა გამოყო ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის უფასო საგაზეთო ფართი რეკლამისათვის, რომელიც A5 ფორმატის ტოლია, ანუ ერთი საგაზეთო გვერდის მეოთხედს. რაც შეეხება ფასიან რეკლამას, იგი განთავსდება ძირითადად მე-5 გვერდზე იგივე ფორმატით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა იქნება, დადგენილი ანაზღაურების გათვალისწინებით, შესაძლებელია ყველა სხვა გვერდზე, გარდა პირველი და მეშვიდე გვერდებისა. ამასთან, მთლიანი გვერდის ან ჩანართის მოთხოვნის შემთხვევაში სარეკლამო პროდუქციის მომზადება და დაბეჭდვა განხორციელდება ურთიერთშორის ხელშეკრულების საფუძველზე, პროდუქციაზე ტირაჟისა და დაფინანსების წყაროს მითითებით.

გაზეთი წარმატებებს უსურვებს ყველა საარჩევნო სუბიექტს და დარწმუნებულია, რომ საარჩევნო კამპანია არ გასცდება დადგენილ ნორმებს, იქნება კორექტული, აკადემიური, დაცლილი ცილისწამებისა და შეურაცხყოფის, ურთიერთტალახის სროლისაგან.

დასასრულს, გვინდა რომ ამომრჩეველმა კარგად გაიაზროს რამდენად მნიშვნელოვანია არჩევნები ქვეყნის ცხოვრებაში, რომ მისი ხმა ბევრს ნიშნავს ხვალინდელი დღისათვის, კარგად გაერკვეს თუ რას წარმოადგენს მისთვის შეთავაზებული კანდიდატი, რა ზნეობრივი და საქმიანი თვისებების მატარებელია, როგორი გზა აქვს გავლილი, როგორია მისი პიროვნული ავტორიტეტი საზოგადოებაში.

გახსოვდეთ თქვენი ხმა გადამწყვეტია!

„თერჯოლა“

# შეხვედრა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატთან ბეჟან წაქაძესთან...

1☜ აქ იყვნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, საზოგადოების წარმომადგენლები.

ინტერესი დიდი იყო, ამიტომაც ეს რაიმე განმარტებას არ საჭიროებს. არჩევნები მოდის, რაღა დარჩა ოქტომბრამდე?

რა და როგორ იქნება, ვის ვანდობთ მომავალ ოთხწლეულში ჩვენს ყოფასა და ცხოვრებას, მუნიციპალიტეტის სვესა და ბედს—ახლა ეს არის საკითხავი: სიტყვაპირობა იქნება ნაღდი და კაცური, თუ დარებჩა ის „სიტყვად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?“

მაგრამ, ნუ დავსვამთ კითხვის ნიშნებს, ნუ შევეცდებით მოვლენების გასწრებას. ჯანსაღი მზერა მივაპყროთ მომავალს; ხელი ხელს მივცეთ და საქმე ისე წარვმართოდ. ვიკმაროთ რაც წავიზარმაცეთ...

მოდით, ერთად დავუდგეთ ახალ გამოწვევებს; გზა და სავალი გადავუკეტოთ შურსა და ღვარძლს, უნდობლობას და ავკაცობას;

ხელი შევუწყოთ და გვერდში დავუდგეთ მომავალ მეგზურს, რომელიც ამ მანდატს მოიპოვებს.

არ ვაპირებთ ზედმეტ დიდაქტიკას, მაგრამ ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დაგვანახა—მარტო დეპუტატი, ან რომელიმე სახელისუფლებო შტო, ან ცალკეული ენთუზიასტები ვერ შექმნიან ნათელ მომავალს მხოლოდ ხელიხელჩაკიდებული და სამშობლოზე მგზნებარედ შეყვარებულებს შეუძლიათ შექმნან უკეთესი მერმისი...

ვისმენდით და ვინიშნავდით იქ შეკრებილთა ნააზრევს, რათა გაგვეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

აქვე გთავაზობთ დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფიას.

**ბეჟან წაქაძე დაიბადა 1960 წელს, დაამთავრა ზესტაფონის სოფელ მეორე სვირის პირველი საჯარო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, მუშაობდა პოდოლსკის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარ ბუღალტრად, მოგვიანებით კი, ვანის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში საგადასახადო ინსპექციის უფროსის პოზიცია ეკავა. 2000-2002 წლებში საქართველოს სამთო-გეოლოგიური ასოციაციის ფინანსური მენეჯერი იყო, 2002 წელს კი, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი, 2005-2007 წლებში მუშაობდა საგადასახადო-საკონსულტაციო სააუდიტორო ორგანიზაცია „პროფესიონალის“ დირექტორად, 2007-2010 წლებში იყო სამშენებლო კომპანიების „მოდულის“, „სასკოს“, „ბილდერსის“, „კალასის“ და „თბილ ელიტ ჰაუსის“ ფინანსური მენეჯერი, 2010 წელს მან დააფუძნა სამშენებლო კამპანია „Georgian Development Group 1“.**

**„როგორც ბიზნესმენმა შევძელი რაღაც გამეკეთებინა ხალხისთვის, რაღაც გამომდიოდა, რაღაც არ გამომდიოდა. პოლიტიკაში წასვლით გაცილებით მეტის გაკეთებას შევძლებ. ზოგადად „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან ძლიერი გუნდი წარადგინა, რომელიც თავიანთ სფეროში გამოცდილი ხალხითაა დაკომპლექტებული. ვფიქრობ, რომ დღეს, პანდემიის დამარცხება და ეკონომიკური განვითარება მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. მომავალი პარლამენტის პირველი ამოცანა სიღარიბის დონის შემცირება და განათლების სისტემაზე ზრუნვა იქნება, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალია. იმ გამოცდილებას, რაც მე დავაგროვე მშენებლობისა თუ წარმოების სფეროში გამოვიყენებ იმისთვის, რომ მოვახმარო ჩემს ოლქს და ქვეყანას, შეიქმნას მეტი საწარმო, მეტი სამუშაო ადგილი—ეს ყველა რეგიონისა თუ ოლქის პირველი პრობლემაა.**

**მე კარგად ვიცნობ ჩემს ოლქს—იქ დავიბადე და გავიზარდე, მთელი ცხოვრება იქ გავატარე და დღემდე არ შემიწყვეტია ჩემს რეგიონზე ზრუნვა. კარგად ვიცნობ ასევე აქაურ პრობლემებს და ჩავერთვები მათ მოგვარებაში. პირველ ზრუნვას დასაქმებაზე დავიწყებთ როგორც კანონპროექტების ინიცირებით, ასევე მათი განხორციელებითა და კონტროლით,“**—განმარტავს ბეჟან წაქაძე.



ბატონმა ბეჟანმა, რომელიც ბიზნესსფეროს წარმომადგენელი გახლავთ, საკმაოდ ვრცლად ისაუბრა, პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, ვრცელი ადგილი დაუთმო მომავალ სადეპუტატო ხედვებს.

გამოსვლის ბოლოს დაბეჯითებით გააჟღერა, რომ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს, რათა ოთხი წლის შემდეგ თერჯოლელებმა პატივით გააცილონ.

„თერჯოლა“

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი და მერიის სამსახურების წარმომადგენლები. სხდომაზე დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპულებს.



დეპუტატებმა 14 საკითხზე იმსჯელეს და ყველა მათგანს დაუჭირეს მხარი.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა სოფლებში: სიქთარვაში, ბარდუბანსა და ჩხარში მდებარე უძრავი ქონება, სოფელ ზედა ალისუბანსა და ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები; ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კი იჯარის ფორმით შპს „ალმასს“გადაეცა.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს სოფელ თუზის თემში შემავალი სოფლების: თუზის, კაკაბოურის, თავასის, ვარდიგორისა და ჯგილათის ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და მათ საზღვრებში მოქცეული გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, შესახვევი, ჩიხი) სახელდებას.

ამასთან, ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტში მოქმედ 6 სოციალურ პროგრამაში.

საკრებულოს სხდომამდე ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელზეც აღნიშნული საკითხები იქნა განხილული და სხდომაზე წარსადგენად მხარდაჭერილი.

# პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძემ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალები, საფლავები ყვავილებით შეამკეს და მათი ოჯახის წევრები მოინახულეს.**

**ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფელ ღვანკითში ვალერი გოგნაძის მემორიალთან იმყოფებოდნენ. მათ გვირგვინებით შეამკეს მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.**

**მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ასევე ყვავილებით შეამკეს სოფელ ძევრში უშანგი სოფრომაძის მემორიალი, სოფელ კვახჭირსა და ჭოგნარში კი გიგა სახელაშვილისა და ბადრი ბასილაძის საფლავები.**

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში თერჯოლიდან 5 მებრძოლი დაიღუპა: ვალერი გოგნაძე, უშანგი სოფრომაძე, გიგა სახელაშვილი, ბადრი ბასილაძე და ალია ბარდაველიძე, რომლის საფლავი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზეა.**

# ახალი დანიშვნა მუნიციპალიტეტის მერიაში

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ლაშა გოგიაშვილის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსად დაინიშნა მირზა ქოჩიაშვილი.**



**მირზა ქოჩიაშვილი დაიბადა თერჯოლაში 1980 წლის 25 მარტს.**

**1986-1998 წლებში სწავლობდა თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში;**

**1998 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სპორტის აკადემიაში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2003 წელს;**

**2010-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე;**

**2020 წლის იანვრიდან, ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ბრიგადაში ბატალიონის იურისტად;**

**ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს.**

**დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.**

# ლაშა გოგიაშვილი: „ცხოვრებაში ყველა წვრილმანის საჭიროება მნიშვნელოვანია...“

1☜





**—ბატონო ლაშა, დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანით—მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფინანსური დოკუმენტით—მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.**

**საერთო შეფასებით როცა 2020 წლის ბიუჯეტი შედგა, მასში იმდროინდელი რეალობების გათვალისწინებით, არაერთი საჭირო ღონისძიება იყო გათვალისწინებული... კორონავირუსულმა პანდემიამ კი, როგორც ყველგან, ჩვენთანაც, ყველაფერთან ერთად, ბიუჯეტსაც სერიოზულად დაარტყა... როგორ უყურებთ პოსტკორონაკრიზისულ საბიუჯეტო პერიოდს, რა გათვლები გაქვთ, რა იმედებია...**

—ძლიერი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობის გარანტია, იძლევა შესაძლებლობას შეუფერხებლად დაფინანდეს მუნიციპალური პროგრამები, რაც პირდაპირ უწყობს ხელს რაიონის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

**განვლილმა პერიოდმა დამარწმუნა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში, შედგენილია კვალიფიციურად, პასუხობს გამოწვევებს და გათვლილია პრიორიტეტების დროულ დაფინანსებაზე, მაგრამ ქვეყანაში კორონავირუსული პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა, უარყოფითად იმოქმედეს ამ პროცესზე, რასაც მოჰყვა იძულებითი საბიუჯეტო სეკვესტრი. როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ჩვენც პროპორციულად - 1220,4 ათასი ლარით შეგვიმცირდა ბიუჯეტის სატრანსფერო შემოსავლები.**

თუმცა, ბიუჯეტის სხვა რეზერვებისა და დაგეგმილი შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდის ხარჯზე, არცერთი მუნიციპალური პროგრამის დაფინანსება არ შეგვიჩერებია, ზოგიერთი მიმართულებით ეს დაფინანსება გავზარდეთ კიდეც. ამ პერიოდში ჩვენ შევძელით შეფერხებების გარეშე დროულად გაგვეცა საშვებულებო თანხები დაქვემდებარებულ სამსახურებში, სკოლამდელ დაწესებულებებში გავეცით 116,0 ათასი ლარის საკვები პროდუქტები. ამასთან, ამავე პერიოდში, კეთილმოწყობის სამსახურის ფუნქციონალური მრავალფეროვნების გამო ბიუჯეტი გავზარდეთ 2 მილიონ ლარამდე. გამოვაცხადეთ ტენდერი და შევიძინეთ საკმაოდ ძვირადღირებულ „ჯისიპი“ ტრაქტორი. გავაორმაგებთ დაფინანსება მოასფალტებული გზების ორმული დამუშავებისა და სასოფლო გზების ინერტული მასალებით შეკეთებისათვის, ასევე ჩვენი დაფინანსებით სამომავლოდ მზადდება 22 მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რისთვისაც 250,0 ათასი ლარი დაიხარჯება.

**საგულისხმოა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა პანდემიით გამოწვეული სატრანსფერო დანაკლისის 700 ათასი ლარის ფარგლებში დაბრუნებას დაგვპირდა, რაც მიღების შემთხვევაში, წლის ბოლომდე გამოყენებული იქნება სხვა ხარჯებში, აუთვისებლობის შემთხვევაში კი ნაშთად გადავა 2021 წელში.**

ჩვენ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი გვქონდეს ადგილობრივ ბიუჯეტში. ეს ნიშნავს, რომ მეტი საქმეები ვაკეთოთ მომავალში, დავაფინანსოთ მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტები, გავზარდოთ სოციალური პროგრამები. სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რომ 2021 წლის ბიუჯეტი, რომლის შედეგებზე მუშაობა უკვე დაწყებულია, იყოს უფრო მასშტაბური, ეფექტური და წარმატებული.

ვფიქრობთ, რომ მერიის საფინანსო სამსახური, მერიის სხვა სტრუქტურებთან ერთად, შეძლებენ ჩვენი რეალობის შესატყვისი სამომავლო ბიუჯეტის შედგენას. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ პარალელურ რეჟიმში, სპეციალური კომისია, რომელსაც პირადად ვხელმძღვანელობ, აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე, რომლის ძირითადი ღონისძიებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მყარი პროგრამული ბიუჯეტით.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ ეს გამოგვივა...

**—მერიას, მის ქვემდებარე სტრუქტურებს, განსაკუთრებით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს, საგანგებო მდგომარეობის, ასევე ღვანკითის კარანტინის დროს მეტად რთულ პერიოდში მოუწიათ მუშაობა... ადამიანებს დამატებით ესაჭიროებოდათ მედიკამენტები, ფინანსები, სხვა სოციალური დახმარებები... რა შეძელით ამ მხრივ, როგორ იმუშავა მოქმედმა სოციალურმა პროგრამებმა...**

—სამწუხაროდ, ის იმედები და გეგმები, რაც მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გვქონდა, COVID ინფექციამ პრაქტიკულად თითქმის დაამსხვრია. პრევენციისათვის გატარებული იზოლაციური ხასიათის ღონისძიებები რამდენადაც ეფექტური გამოდგა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, იმდენად იზარალა ეკონომიკამ, დაიკარგა სამუშაო ადგილები, გაჩერდა ტურიზმი, ამას დავუმატოთ ის, რომ ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ადამიანებს შეეზღუდათ გადაადგილების საშუალება, ჩაიკეტა სახელმწიფო საზღვრები... საგრძნობლად შემცირდა საბიუჯეტო შემოსავლები...

შედეგად, მივიღეთ სურათი, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა შეჭირვებულ ადამიანთა რიცხვი.

**კოვიდინფექციამდე, მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველ ადამიანთა დასახმარებლად სულ გვქონდა 17 სოციალური პროგრამა, რომლებიც გათვლილი იყო 5000-მდე მოქალაქეზე. ამ პროგრამების დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან ჯამურად გამოყოფილი იყო 980000 ლარი. ბუნებრივია, პანდემიით შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ, სულ ცოტა, გააორმაგა იმ ოჯახებისა და ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც საჭიროებდნენ გადაუდებელ დახმარებას, როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით.**

პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ეს იყო მერიაში შექმნილი კოვიდინფექციის პრევენცის მიზნობრივი ჯგუფის საქმიანობის მკვეთრი გააქტიურება. ეს ჯგუფი აკონტროლებდა არა მარტო ინფექციის პრევენციისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებას, არამედ მერიის სხვა სამსახურებთან, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან ერთად, მთლიანად იყო ჩართული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, კარანტინში ჩაკეტილი სოფელ ღვანკითის მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტაში...

**საკმარისია ალბათ აღინიშნოს, რომ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ჩვენ შინ ვეწვიეთ და სოლიდური სასურსათო პაკეტები გადავეცით 2490 ოჯახს.**

**ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში საჭირო გახდა ჩვენი სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული სახსრების ფორსმაჟორულ პირობებში გამოყენება და ჩვენც წავედით ამაზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ბევრად უკეთესი სურათი არც საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ დამდგარა და ზოგიერთი პროგრამის დასაფინანსებელი სახსრებიც მინიმუმზე დავიდა, მაგრამ გამოვძებნეთ საშუალებები და სულ ახლახანს, საკრებულოს 10 აგვისტოს სხდომაზე ჩვენ მოვახერხეთ, რომ 17-დან 5 პროგრამაზე ჯამურად, 83750 ლარით გაგვეზარდა დაფინანსება.**

ცალკე საუბრის თემაა ღვანკითი—სოფელი კარანტინში, სადაც მოსახლეობის თანადგომისათვის მუშაობა ექსტრემალურ ვითარებაში გვიწევდა, რაზედაც ყურადღებას აღარ გავამახვილებ, რადგან ეს შეფასება თქვენი გაზეთით უკვე გავაკეთე.

მაშინ ნათქვამს დავამატებ მხოლოდ ერთს—მადლობა კერძო პირებს, ორგანიზაციებს, ვინც სოლიდარობა გამოგვიცხადა და უანგარო დახმარება გაილო ჩვენი თანამემამულეებისათვის.

თქვენს მორიგ კითხვაზე, შეჯამების სახით ვიტყვი, რომ კორონავირუსულმა პანდემიამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი—გვაჩვენა, რომ ვცხოვრობთ მოულოდნელობების, რისკების და რთული გამოწვევების ეპოქაში, რომ ერთმანეთის თანადგომა და სოლიდარობა, წეს-კანონისა და წესრიგის დაცვა აუცილებელია ყველა მოქალაქისაგან, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სწორედ დღევანდელობის ამ მოთხოვნებით მუშაობაა ჩვენი საქმიანობის ამ ეტაპის უპირველესი ორიენტირი... და ამასვე ვითხოვთ ჩვენი სამსახურებისა და თითოეული საჯარო მოხელისაგან....

**—მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო მოცულობაში, მნიშვნელოვანი წილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გასაწევ ხარჯებზე მოდის, რაც მთლიანი ბიუჯეტის თითქმის 30 პროცენტია.**

**რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წლევანდელი ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობით თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია იმერეთში და არა მარტო...**

**როგორ სრულდება ეს პროექტები, არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ზოგიერთ მათგანზე სამუშაოები შეფერხდეს ან სულაც შეწყდეს...**

☞4

# ლაშა გოგიაშვილი: „ცხოვრებაში ყველა წვრილმანის საჭიროება მნიშვნელოვანია...“

3☜

—თქვენი მოსაზრებისა და კითხვის იმ ნაწილში, რომ თერჯოლაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მთელი საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის და რომ ამ პროექტების რაოდენობით თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია იმერეთში, ღიად გეთანხმებით, მაგრამ კითხვის ნიშანს ვერ დავსვამ იმ ნაწილში, რომ სამუშაოები შეფერხდეს ან შეწყდეს. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ, რომ შემსრულებელ ორგანიზაციებს შევუქმნათ ისეთი პირობები (თანადგომა, საქმიანობის მუდმივი კონტროლი და ა.შ. რედ.), რომ ამ დაძაბულ პერიოდში მაინც შეძლონ აღებული ვალდებულებების გრაფიკის დაცვით და მაღალი ხარისხით შესრულება. ასეთი მიდგომით და ამ პრინციპზე დაფუძნებული მოქმედებით, ჩვენ შევძელით ის, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეჩერების მიუხედავად, ყველა პროექტს ლოგიკურ დასრულებამდე მივიყვანთ და ეს მშენებლებთან ერთად, ჩვენი საზედამხედველო სამსახურების, სოფლებში მერის წარმომადგენლებისა და საკრებულოში ამ სოფლების დეპუტატების დამსახურებაც იქნება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგად შესრულდა ჩვენი თხოვნა-მოთხოვნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ პასუხისმგებლობების გადანაწილების თაობაზე.









**რაც შეეხება კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მათი შესრულების მდგომარეობას, ეს თემა მინდა დავიწყო სასმელი წყლის პრობლემით, რადგან ზაფხულია და ამ ცხელ დღეებში უწყლობა განსაკუთრებით აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.**

**ვფიქრობთ, რომ არც ამ მიმართულებით გვიმუშავია ურიგოდ. რამდენიმე სოფელში წყალმომარაგება ერთგვარად გავაუმჯობესეთ კიდეც. პრობლემები მოვხსენით კვახჭირის ახალ წყალსადენზე. ექსპლოატაციაში მივიღეთ და შემდგომში მოვლა-პატრონობისათვის სულ ახლახანს, საკრებულოს სხდომაზე, უზურფრუქტის წესით, მერიის კომუნალურ სამსახურს ბალანსზე გადავეცით სოფლების: სიქთარვისა და ბარდუბნის ახალი წყალსადენები. ამჟამად, წყალსადენის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ზედა სიმონეთში. გვაქვს სხვა განზრახულობებიც, რომლებიც უფრო სამომავლოა, რაზედაც ინტენსიურად ვმუშაობთ.**

**ჩვენთვის, ისე როგორც რაიონის ყოველი მაცხოვრებლისათვის, ასევე მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტია მთელი რაიონის სრული გაზიფიცირება. უნდა ვთქვა, რომ ამ მიზანთან სულ ახლოს ვართ.**

ახლახანს, გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა ჩვენს მორიგ სოფელში—შიმშილაქედში და მოსახლეობა უკვე სარგებლობს ბუნებრივი აირით. სოფლებში სკანდესა და გოგნში ეს სამუშაოები უკვე დამთავრებულია და ამ სიკეთით იქაურებიც ისარგებლებენ. ასე რომ, მუნიციპალიტეტის 45 სოფლიდან და ერთი ქალაქიდან, გაზიფიკაციის გარეშე ფაქტიურად გვრჩება მხოლოდ ერთი პატარა სოფელი—სეფარეთი, სადაც ეს სამუშაოები მალე დაიწყება.

განსაკუთრებულად ხაზგასმით ვაცხადებ, რომ აღნიშნულის გარდა, ამჟამად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შესრულების სხვადასხვა ფაზაშია 150 სხვადასხვა ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტი.

სიქთარვაში, ჩხარში (მეტლახი) და საზანოში ვაშენებთ საჯარო სკოლების ახალ სასწავლო კორპუსებს, რაზედაც 4,5 მლნ. ლარი დაიხარჯება. პარალელურად, ახალი სასწავლო წლისათვის 14 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სველი წერტილების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა. ამ სამუშაოებისათვის 700,0 ათასი ლარია გათვალისწინებული. წლებია ჩვენს მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის შედგენაში თავად ადგილობრივები ერთვებიან. ვცდილობთ, რომ სასოფლო კრებები, სადაც სოფლებისათვის გამოყოფილი თანხების ასათვისებლად კონკრეტული საპროექტო წინადადებები განიხილება, იყოს ხალმხრავალი, ყველას ჰქონდეს საშუალება გამოთქვას საკუთარი შეხედულება თუ რისთვის გამოიყენონ ეს სახსრები.

მოსახლეობასთან ასეთი მუშაობის პრაქტიკა კარგ შედეგებს იძლევა. დროულად გვარდება ყველა ეს პროცედურული საკითხი, რაც საქმის დასაწყებად და დასამთავრებლადაა საჭირო.

წლევანდელ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 690000 ლარია განსაზღვრული, რომელიც მოსახლეობისაგან მოწონებული 108 პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

რეალური სურათი, რაც ამ პოზიციაში გვაქვს ვფიქრობთ დამაკმაყოფილებელია, უფრო მეტიც, უკვე მთლიანად დასრულებულია სამუშაოები სამოცამდე პროექტზე.

**მინდა განსაკუთრებულად შევეხო იმ 9 მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ამჟამადაა განხორციელების ფაზაში და ფინანსდება საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან ჩვენი საბიუჯეტო თანამონაწილეობით. ჯამურად ეს თანხა, საკმაოდ სოლიდურია და თითქმის 5,0 მლნ. ლარს შეადგენს. უპირველესად აღვნიშნავ, რომ ყველა პროექტზე სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს. მინდა მოსახლეობამ იცოდეს—9 პროექტიდან შვიდი გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება. ეს პროექტებია: ზედა სიმონეთის წყალსადენი, ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობა, ქვედა სიმონეთის საავტომობილო გზა, ნახშირღელეში ხუჯაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზა, ქალაქ თერჯოლაში გოფანმთის ეკლესიასთან მისასვლელი გზა... მიმდინარე წელს დასრულდება ორი პროექტი—ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში მისასვლელი და სოფლების ვარდიგორა—ჯგილათის დამაკავშირებელი გზები.**

**აქვე მინდა გითხრათ მნიშვნელოვანი და კარგი ფაქტის შესახებ, რეგიონული განვითარების ფონდმა, მიმდინარე წელს, დამატებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის გამოყო თანხა, რითაც კიდევ სამი მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას დავიწყებთ. ესენია: სიქთარვა-ჩხარიეწრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; სოფ. თუზში ცენტრალური გზიდან წმ. სამების ეკლესიამდე მისასვლელი გზისა და ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-3 ჩიხის რეაბილიტაცია.**

მინდა ყურადღების მიღმა არ დამრჩეს ის სამუშაოებიც, რაც სხვადასხვა დროს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ტარდება. ამ მიმართულებით მარტო ქალაქ თერჯოლაში, სოფლებში: ახალთერჯოლა, თუზი და საზანო, სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან თითქმის ერთი მილიონი ლარი დაიხარჯება. თანხა მთლიანად მოხმარდება დაზიანებული გზების რეაბილიტაციას, საერთო ჯამში 7 გრძივი კილომეტრი.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბარი შეიძლება გამიგრძელდეს და უმჯობესია მოკლედ დავამთავრო—საქმე ბევრია, სამუშაოები სერიოზული...

**—და ბოლოს, ბატონო ლაშა, თქვენ როგორც ხელმძღვანელმა, როგორც ადამიანმა ვინც მოსახლეობის ცხოვრებისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად, თანამდებობრივად მნიშვნელოვნადაა პასუხისმგებელი, თერჯოლაში მუშაობის ამ მოკლე, მაგრამ უაღრესად რთულ პერიოდში—კორონავირუსული პანდემიის პირობებში, რა შეიგრძენით განსაკუთრებულად... რა მოთხოვნები გაგიჩნდათ საკუთარი თავის და თანაგუნდელების მიმართ...**

—ძალზე მოკლედ და ერთმნიშვნელოვნად გიპასუხებთ.

მუნიციპალიტეტში მუშაობის დროის ამ მცირე მონაკვეთში, მოსახლეობასთან თითქმის ყოველდღიური შეხვედრებით კარგად შევიგრძენი და გავითავისე, რომ რეალურ ცხოვრებაში ყველა წვრილმანის საჭიროება მნიშვნელოვანია... ეს ჭეშმარიტება მთელი სიგრძე-სიგანით უნდა შეისისხლხორცოს ყველა რანგის საჯარო მოხელემ. ვვდილობთ, რომ ასეც ვაკეთოთ, გავწვდეთ მოსახლეობის ყველა საჭიროებას, გადავუწყვიტოთ რეალური პრობლემები, ყველგან—ჭირსა თუ ლხინში, ვიდგეთ მათ გვერდით...

**—დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს...**

**ესაუბრა**
**დავით კლდიაშვილი**

# COVID-19 პერიოდში მუნიციპალიტეტში დამატებით გაცემული დახმარებები




***კორონავირუსული პანდემიის პერიოდში გარდა მუნიციპალური პროგრამებით გაწეული დახმარებებისა, დამატებით გაიცა დახმარებები:***

—100 წელს გადაცილებულ 4 მოქალაქეს და შშმ ბავშვთა დღის ცენტრებს მერიიდან გადაეცათ სასურსათო კალათები (სულ 20 ერთეული).

—კვახჭირში მცხოვრებმა მოქალაქე ავთანდილ სულაბერიძემ მოსახლეობისათვის გაიღო 500 კგ. თაფლი, რომელიც გადაეცა მარტოხელა დედებს და ობოლ ბავშვთა ოჯახებს (სულ 250 ადრესატი).

—ეწერში მცხოვრებმა ძმებმა გრიგოლ და ელგუჯა ბიწაძეებმა გადმოგვცეს 100 შეფუთვა ჩაი, რაც განაწილდა ობოლ ბავშვებზე.

—შპს „მშენებელი-80“ მოსახლეობისათვის მერიას გადასცა 500 ერთეული სასურსათო კალათა, რომელიც დაურიგდა 500 ოჯახს.

—ჯანდაცვისა და ლტოლვილთა განსახლების სამინისტრომ 70 წელს გადაცილებულ 8 ლტოლვილს გადასცა სასურსათო კალათა.

—ფონდ „სოხუმის“ მიერ 35 სასურსათო კალათა გადაეცა მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

## სოფელ ღვანკითში გაცემული დახმარებები COVID პერიოდში

| | პროგრამის დასახელება | გახარჯული თანხა (ლარი) | დახმარებულთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა | 6150 | 41 |
| 2 | თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებაში და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარება | 1000 | 18 |
| 3 | ფირმა „სოკარის“ საჩუქარი | სასურსათო კალათა | 95 |
| 4 | კონსტანტინე ყიფიანის ოჯახის საჩუქარი | 25 კგ. პურის ფქვილი, 2 ლ მცენარეული ზეთი | ყველა ოჯახი |
| 5 | გურამ ქარქაშაძის ოჯახის საჩუქარი | 2 ტონა ფქვილი, 2 ტონა ბურღულეული | სოფელი |
| 6 | შპს „მშენებელი 80“-ის საჩუქარი | სასურსათო კალათა | 100 ოჯახი |
| 7 | მუნიციპალიტეტის მერიისაგან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის—1 ეტაპი | 33 ლარიანი სასურსათო კალათა | 56 |
| 8 | მუნიციპალიტეტის მერიისაგან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის—2 ეტაპი | 66 ლარიანი სასურსათო კალათა | 56 |

**მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**

# გუგი გოცირიძე



ეს ჩაფიქრებული ჭაბუკი ჩვენი მიწაწყლის შვილია. **გიორგი (გუგი) გოცირიძე** თბილისში დაბადებულა, მაგრამ ბავშვობის წლები დიდი წინაპრის დავით კლდიაშვილის მამულში, ზედა სიმონეთში გაუტარებია მშობლებთან და უფროს ძმასთან ერთად. 12-წლიანი „სიმონეთლობის“ შემდეგ, კვლავ დედაქალაქი. მოსწავლეობის წლები და... ესპანეთი. კერძოდ ბასკეთი—ბილბაო... ლეგენდებითა და მითებით შემოსილი იბერიელებით დასახლებული საბიძაშვილო...

გიორგის ბებია დედის მხრიდან ბასკი გახლდათ, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მისი ავტოგრაფიული მეტამორფოზი. ადვილად შეისწავლა ესპანური ენა, მიიღო შესაბამისი განათლება, და...

მხატვრის პალიტრა! გუგი ნიჭიერი მხატვარია, გამორჩეულად საშემსრულებლო სტილით არის გაფერადებული მისი პალიტრა. სულით და ხორცით ქართველია, ჰყავს ქართველი მეუღლე. ოჯახთან ერთად ცხოვრობს ესპანეთში და ქმნის ხელოვნების ნიმუშებს განსხვავებულსა და ორიგინალურს.

ხელოვნების მცოდნენი შესაბამის სახელს დაარქმევენ ახალგაზრდა ქართველი—ესპანელი (თუ პირიქით) შემოქმედებას.

წიგნი, რომელიც წარმოგვიდგენს ფუნჯის ოსტატის არასრულ გამას, საინტერესო ხელოვნების სასიამოვნო მოლოდინს გვიქმნის.

ვივა გუგი,
ვაშა გუგი...

**ნუგზარ იშხნელი**

# ვიყოთ ყურადღებით—მიმდინარეობს პირუტყვის ვაქცინაცია

***დღეს, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ნახავთ ოჯახს (თვით ქალაქშიც კი), სადაც პირუტყვი არ ჰყავდეთ. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, ბევრგან მეწველი ფური მთელი ოჯახის მარჩენალია.***

***პრობლემა ისაა, რომ მეპატრონეთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცის როგორ მოუაროს მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვს, როგორ დაიცვას ისინი და შესაბამისად საკუთარი თავი გადამდები ინფექციური დაავადებისაგან.***

***აი, რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა რუსუდან გოგიაშვილმა:***

მიმდინარე წლის მაისის თვიდან, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მიმდინარეობს სურსათის ეროვნული სააგენტოს შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ვეტერინარი სპეციალისტების მიერ, ცხოველიდან ადამიანზე გადამდები ისეთი საშიში ინფექციური დაავადებების ვაქცინაცია, როგორიცაა ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი. აღნიშნული დაავადებები საფრთხეს წარმოადგენს, როგორც თავად პირუტყვისათვის, ისე ადამიანის ჯანმრთელობისათვის. თავდაცვის ერთადერთი საშუალება ცხოველის ვაქცინაციაა. დაავადება ჯილეხის საწინააღმდეგოდ ვაქცინაცია უკვე ჩატარდა მუნიციპალიტეტის 9 დასახლებულ პუნქტში, რომელიც წარმოადგენს ჯილეხის კერას, სულ ვაქცინაცია ჩაუტარდა 6000 სულ მსხვილფეხა პირუტყვს. ჯილეხის აღმძვრელი არის ბაქტერია. ის განსაკუთრებით აქტიურია წელიწადის თბილ დროს. ბაქტერია ადამიანში შესაძლოა მოხვდეს: დაავადებული გარემოდან, დაავადებული ცხოველის მოვლით და დაკვლით. ჯილეხით დაავადებული ცხოველის დაკვლა დაუშვებელია.

ცხოველიდან ადამიანზე გადამდები საშიში ინფექციური დაავადებაა ასევე ბრუცელოზი; ადამიანი შეიძლება დაავადდეს თერმულად დაუმუშავებელი რძის პროდუქტების მიღების (ყველი, რძე) და საქონლის მოწველის დროს.

გთხოვთ პირუტყვის მეპატრონეთ, დაუმაგროთ თითოეულ მათგანს საყურე ნიშნები, რათა ჩართოთ ცხოველთა იდენტიფიკაცია—რეგისტრაციის სისტემაში და ჩაუტარეთ აცრა; თქვენი და თქვენი ოჯახის უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიძინეთ მხოლოდ სპეციალურ სასაკლაოზე დაკლული ცხოველის ხორცი, რომელსაც თან ახლავს მისი ჯანმრთელობის დამადასტურებელი ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2. ნუ შეიძენთ ხორცს ქუჩაში შემთხვევითი პირისაგან.

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გააქტიურდა ადამიანის და ცხოველების საერთო ვირუსული დაავადება, როგორიცაა ყირიმ-კონკოს ჰემორაგიული ცხელება; ადამიანის ორგანიზმში ვირუსის მოხვედრის ძირითადი გზებია: ინფიცირებული ტკიპის კბენა, ტკიპასთან ექსპოზიცია (გაჭყლეტვა) ავადმყოფი ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით, არაპასტერიზებული რძის მიღებით.

როგორ დავიცვათ თავი?

დაამუშავეთ ცხოველები და მათი სადგომები ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებებით. იმ ტერიტორიაზე, სადაც მაღალი ბალახის საფარია ატარეთ დახურული ფეხსაცმელი ან ჩექმა. ცხოველებს ტკიპები მოაშორეთ ხელთათმანების გამოყენებით.

მეტად საშიში ინფექციური დაავადებაა ცოფი, რომელიც მთავრდება მძიმე შედეგით დაავადებული ცხოველის მიერ დაკბენის, დაკაწვრის ან დადორბვლის შემთხვევაში. რომ ეს არ მოხდეს დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ცოფის საწინააღმდეგო აცრა ჩაიტარეთ აუცილებლად 24 საათში.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება პრევენციასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, დაავადებასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. დაავადების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ცხოველის ვაქცინაციაა. არ დაიზაროთ პრევენცია! იქონიეთ მუდმივი კავშირი ვეტერინარებთან, ჩაუტარეთ ცხოველებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული აცრები, მითუმეტეს, რომ იგი უფასოა. ამასთან, არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს ფურების მწარმოებლობაზე.

**ესაუბრა ი. ერაძე**

# პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი №49 თერჯოლის საარჩევნო უბნის საზღვრები

(დასაწყისი წინა ნომერში)

**№21.49. 08**

**გოგნის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი გოგნი 1-ლი ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34. 1-ლი ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 1-ლი ქუჩის მე-2 ჩიხი 2. 1-ლი ქუჩის მე-3 ჩიხი 2, 4. 1-ლი ქუჩის მე-4 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16. მე-2 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17. მე-2 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 5. მე-3 ქუჩა 1, 3, 5, 7, 9. მე-4 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8. მე-4 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8, 10. მე-4 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 4, 6. მე-4 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3. მე-4 ქუჩის მე-4 ჩიხი 2, 4. მე-5 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13. მე-5 ქუჩის პირველი ჩიხი 2. მე-5 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 3. მე-6 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11, 13. მე-6 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-6 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 7. მე-6 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 3, 5, 7. მე-6 ქუჩის მე-4 ჩიხი 1. მე-7 ქუჩა 1, 2, 3, 4, 6. მე-8 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35. მე-8 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 5. მე-8 ქუჩის-მე-2 ჩიხი 1, 3. მე-8 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2. მე-8 ქუჩის მე-4 ჩიხი 2, 4, 6, 8. მე-8 ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2, 3, 5, 7, 9. მე-8 ქუჩის მე-6 ჩიხი 2. მე-9 ქუჩა 1, 2, 4, 6, 8, 10. მე-10 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14. მე-10 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8, 10. მე-10 ქუჩის მე-2 ჩიხი 2, 4. მე-11 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7. მე-11 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-12 ქუჩა 1. მე-13 ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8. მე-13 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3.

**№21.49. 09**

**გოდოგნის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი გოდოგანი

**№21.49. 10**

**ნაგარევის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ნაგარევი

**№21.49. 11**

**ეწრის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ეწერი

**№21.49. 12**

**ჩიხორის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ზედა საზანო

**№21.49.13**

**26 მაისის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ზედა საზანო

**№21.49.14**

**ზედა სიმონეთის**

**საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ზედა სიმონეთი 1-ლი ქუჩა, N1, N2, N4, N6, N8, N10, N12, N14, N16, N18, N20, N22, N24, N26, N28, N30, N32, N38, N44, N50, N54, N64, N68, N70. 1-ლი ქუჩის I შესახვევი, N1, N2, N3, N4, N5, N7. 1-ლი ქუჩის I ჩიხი, N2, N4, N6, N8. 1-ლი ქუჩის II ჩიხი, N2, N4. 1-ლი ქუჩის III ჩიხი, N1. 1-ლი ქუჩის IV ჩიხი, N1. N:2. 1-ლი ქუჩის V ჩიხი, N1, N2, N3, N4, N6. მე-2 ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14, N17, N18, N19, N20, N22, N23, N24, N25, N26, N27, N29, N31, N33, N35, N37, N39, N41, N43. მე-2 ქუჩის I შესახვევი, N1, N2, N3, N4, N10. მე-2 ქუჩის I ჩიხი, N1, N2, N3, N5. მე-2 ქუჩის II ჩიხი, N1, N2, N3 N5. მე-3 ქუჩა, N1, N2, N4, N6, N7, N8, N9, N11, N12, N14, N15, N16, N17, N19, N20, N21, N22, N23, N25, N26, N28, N32, N34, N36, N38, N40, N42, N44, N46, N48, N52, N54, N56, N58, N60. მე-3 ქუჩის I შესახვევი, N1, N2, N3. მე-4 ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N7, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N18, N19, N20, N21, N22, N23, N26, N27, N29, N30, N31, N32, N33, N34, N35, N36, N37, N38, N42, N43, N44, N46, N51, N52, N53, N54, N55, N57, N58, N59, N60, N61, N62, N63, N65, N67, N68, N70, N72, N78, N80. მე-4 ქუჩის I ჩიხი, N2, N4, N6, N8. მე-4 ქუჩის II ჩიხი, N4, N6. მე-4 ქუჩის III ჩიხი, N1, N:3. მე-4 ქუჩის IV ჩიხი, N1, N2. მე-5 ქუჩა, N1, N3, N4, N9, N12, N14, N16, N17, N18, N20. მე-5 ქუჩის I ჩიხი, N2, N6, N8. მე-6 ქუჩა, N2, N4, N6, N8, N10, N12, N16, N18. მე-6 ქუჩის I ჩიხი, N1, N3. მე-7 ქუჩა, N1, N3, N4, N5, N6, N8, N10, N12, N16, N18, N22. მე-7 ქუჩის I ჩიხი, N2, N6, მე-7 ქუჩის II ჩიხი, N1, N2, N3, N4, N5. მე-7 ქუჩის III ჩიხი, N1, N2, N3. მე-7 ქუჩის IV ჩიხი, N2, N3, N4, N5, N7. მე-8 ქუჩა, N3, N5, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N19, N21, N23, N25, N29. მე-8 ქუჩის I ჩიხი, N1, N2. მე-8 ქუჩის II ჩიხი, N1, N2. მე-9 ქუჩა, N2. N4. მე-10 ქუჩის I ჩიხი, N1, N2. მე-11 ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N7, N10, N14, N15, N17, N19, N22, N24, N25, N26 N27, N28, N29, N30, N31, N32, N34, N35, N37, N38, N40, N42 , N44, N46. მე-11 ქუჩის I ჩიხი N3, N6, N8. მე-11 ქუჩის II ჩიხი, N3, N5. მე-12 ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N6. მე-13 ქუჩა, N1, N3, N5, N7, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N18, N20, N22. მე-14 ქუჩა, N4, N5, N6, N8, N10, N12 N14, N16, N18, N24. მე-14 ქუჩის I ჩიხი, N6, N8. მე-14 ქუჩის II ჩიხი, N4. მე-15 ქუჩა, N1, N2, N4, N5, N9, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N19, N20, N21, N25, N27, N28, N30, N36. მე-15 ქუჩის I ჩიხი, N3, N4. მე-16 ქუჩა, N1, N2, N4, N5, N7, N9, N11, N13, N14, N15, N16, N20, N22,N23, N25, N26, N29, N32,N36, N37, N41. მე-16 ქუჩის I შესახვევი, N2, N4, N7, N10, N11. 16 ქუჩის I ჩიხი, N1, N3, N4. 16 ქუჩის II ჩიხი N5 N6, N8, N10. მე-17 ქუჩა, N2, N3,N4, N5,N6, N7, N8, N9, N16, N17, N19, N21. მე-17 ქუჩის I ჩიხი, N2, N4, N5, N6, N8, N10, N12. მე-18 ქუჩა, N2, N4, N6, N8, N15, N16, N20, N21. მე-18 ქუჩის I ჩიხი, N1, N2, N5, N9, N11. მე-18 ქუჩის II ჩიხი, N4, N5, N7, N8, N12. მე-19 ქუჩა, N2, N3, N4, N6, N8, N12, N16, N18, N20, N26. მე-19 ქუჩის I ჩიხი, N1, N3. მე-20 ქუჩა, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9. 21-ე ქუჩა, N1, N4, N5, N6, N7, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N18. 21-ე ქუჩის I ჩიხი, N1, N2, N3, N5, N6, N7, N9. 22-ე ქუჩა, N2, N3, N4, N5, N6, N7, N13, N15, N19, N20, N22, N24, N25, N29, N30, N32, N34, N35, N36, N37, N38, N39, N40, N41, N42, N43, N44, N45, N46, N47, N48, N49, N50, N51, N52, N53, N54, N55, N56, N57, N58, N59, N60, N61, N62, N63, N65, N66, N67, N69, N70, N73, N75, N76, N77, N78, N79, N80, N81, N83, N85, N87, N89, N91, N93, N97, N99. 22-ე ქუჩის I შესახვევი, N1, N3, N5 22-ე ქუჩის I ჩიხი, N1, N2, N3, N4, N6. 22-ე ქუჩის II ჩიხი, N3, N4, N5, N6, N8. 22-ე ქუჩის III ჩიხი, N1, N3, N4, N6 N8. 23-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N7, N8, N9, N10, N11, N13, N14, N15, N16. 23-ე ქუჩის I ჩიხი, N2, N4, N8, N10. 24-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N6 N7 N9, N10, N12, N14, N16, N20, N29, N30, N32, N33, N37, N38, N40, N41, N42, N43, N45, N46, N48, N50. 24-ე ქუჩის I ჩიხი, N1, N3, N7. 26-ე ქუჩა, N1, N3, N6, N8, N12. 27-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N6, N8, N9, N11, N16, N17, N18, N19, N20, N21, N23, N24, N25, N26, N27, N29, N30, N31, N32, N33, N35, N37, N38, N39, N40, N41, N42, N43, N44, N46, N47, N48, N50, N52, N54, N56. 27-ე ქუჩის I ჩიხი, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10. 27-ე ქუჩის II ჩიხი, N2, N6, N8. 27-ე ქუჩის III ჩიხი, N2, N6, N8. 27-ე ქუჩის IV ჩიხი, N3, N4, N6. 27-ე ქუჩის V ჩიხი, N1, N2, N3, N4, N5, N6, N8, N12. 28-ე ქუჩა, N1, N3, N4, N5, N6, N7, N8, N10, N12. 28-ე ქუჩის I შესახვევი, N1, N3, N7, N9, N11. 29-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N14, N15, N16, N17, N18, N19, N20, N22, N23, N25, N31. 29-ე ქუჩის I შესახვევი, N2, N3, N4, N6, N8, N10, N12, N14. 29-ე ქუჩის I ჩიხი, N3, N5, N6, N8, N10, N12. 30-ე ქუჩა, N3, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N13, N14, N16, N17, N19, N20, N22, N23, N24, N25, N27, N28, N29, N30, N32, N34, N36, N40, N44. 30-ე ქუჩის I შესახვევი, N3, N5, N7, N9, N11, N17. 30-ე ქუჩის I ჩიხი, N4. 30-ე ქუჩის II ჩიხი, N2, N3, N4. 31-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N6, N7, N8, N9, N10, N13, N15, N16, N17, N20, N21, N23, N24, N25, N31. 32-ე ქუჩა, N2, N3, N5, N7, N8, N9, N10, N12, N14, N15, N16, N17, N20, N21, N22, N23, N24, N26, N27, N28, N29, N30, N32, N33, N34, N36, N38, N40, N42, N43, N44, N45, N46, N48, N50, N52. 32-ე ქუჩის I ჩიხი, N2, N3, N4, N5, N7. 32-ე ქუჩის II ჩიხი, N1, N2, N3, N4, N6. 32-ე ქუჩის III ჩიხი, N6. 33-ე ქუჩის I ჩიხი, N2. N5. 34-ე ქუჩა, N2, N3, N8, N10. 34-ე ქუჩის I ჩიხი, N3, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11. 35-ე ქუჩა, N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N9, N10, N11, N13, N14, N15, N16, N17, N18, N19, N21, N23, N25, N27, N29, N33. 35-ე ქუჩის I შესახვევი, N2, N3, N4, N6, N8. 36-ე ქუჩა, N1, N3, N4, N8, N9, N11, N14, N15, N16. 36-ე ქუჩის I შესახვევი, N2, N3, N7. 36-ე ქუჩის I ჩიხი, N2, N3. 36-ე ქუჩის II ჩიხი, N3, N5, N7. 36-ე ქუჩის III ჩიხი, N3, N5. 37-ე ქუჩა, N3, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N15, N16, N17, N18, N19, N20, N22, N23, N24, N25, N26, N29, N37, N39, N41. 37-ე ქუჩის I შესახვევი, N1, N3, N3ბ, N5, N7, N8, N11, N13. 37-ე ქუჩის II შესახვევი N3, N7, N9. 38-ე ქუჩა N1, N2, N3, N4, N5, N6, N8, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N18, N19, N20, N22, N24, N28, N30, N32. 38-ე ქუჩის I შესახვევი, N2, N3, N4, N7, N8. 39-ე ქუჩა, N2, N3, N4, N5, N6, N7, N9, N10, N13, N15, N16, N17, N23, N25. 39-ე ქუჩის I შესახვევი, N3, N4, N5, N8, N10. მე-40 ქუჩა, N3. N4, N6. 41-ე ქუჩა, N1, N2, N3, N7, N8, N10, N12, N14, N16. 42-ე ქუჩა, N1, N7, N8, N9, N10, N11, N13, N15, N17.

**№21.49. 15 თუზის**

**საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი თუზი

**№21.49.16 ვარდიგორის**

**საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი თუზი

**№21.49.17 კვახჭირის**

**საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი კვახჭირი

**№21.49. 18 ნახშირღელის**

**საარჩევნო უბანი**

**საზღვრები:** სოფელი ნახშირღელე 1-ლი ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14. 1-ლი ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. 1-ლი ქუჩის მეორე ჩიხი 1, 2, 4. მე-2 ქუჩა 1, 2, 3. მე-2 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-3 ქუჩა 1, 2. მე-3 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. მე-4 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 16. მე-5 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 16, 18. მე-5 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5. მე-5 ქუჩის მეორე ჩიხი 1, 3, 5. მე-5 ქუჩის მესამე ჩიხი 2, 4, 6. მე-6 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. 16, 17, 18, 19, 20, 22, 24, 26, 28, 30, 32, 34, 36, 38, 40, 42, 44, 46, 48. მე-6 ქუჩის პირველი შესახვევი1, 2, 3, 4, 5, 7. მე-6 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-6 ქუჩის მეორე ჩიხი 1, 3. მე-6 ქუჩის მესამე ჩიხი 2, 4. მე-7ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26. მე-8 ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14. მე-8 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-9 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15, 17. მე-9 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. მე-10 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16. მე-10 ქუჩის პირველი შესახვევი 1. მე-11 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 12, 14. მე-11 ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4. მე-11 ქუჩის მეორე ჩიხი 2. მე-12 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19. მე-12 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე 12 ქუჩის მეორე ჩიხი 1, 3. მე-13 ქუჩა 1, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25. მე-14 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9. მე-15 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 120, 122, 124, 126, 128, 130, 132, 134. მე-15 ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19. მე-15 ქუჩის მეორე შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14. მე-15 ქუჩის მესამე შესახვევი 1, 3, 5, 7, 9, 11. მე-15 ქუჩის მეოთხე შესახვევი 2. მე-15 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3. მე-15 ქუჩის მეორე ჩიხი 1, 2, 3. მე-15 ქუჩის მესამე ჩიხი 1, 2, 3, 4, 6. მე-15 ქუჩის მეოთხე ჩიხი 1, 2. მე-15 ქუჩის მეხუთე ჩიხი 1, 2, 3. მე-15 ქუჩის მეექვსე ჩიხი 2. მე-15 ქუჩის მეშვიდე ჩიხი 1. მე-15 ქუჩის მერვე ჩიხი 1. მე-15 ქუჩის მეცხრე ჩიხი 1, 2, 4. მე-16 ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18. მე-16 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-16 ქუჩის მეორე ჩიხი 1. მე-17 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 55, 57, 59, 61, 63, 65, 67. მე-17 ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15. მე-17 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-17 ქუჩის მეორე ჩიხი 1, 2, 4. მე-17 ქუჩის მესამე ჩიხი 2. მე-17 ქუჩის მეოთხე ჩიხი 1, 2, 3. მე-17 ქუჩის მეხუთე ჩიხი 2. მე-18 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35, 37, 39, 41. მე-18 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-19 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12. მე-19 ქუჩის პირველი ჩიხი1. მე-20 ქუჩა1, 3, 5, 7, 9, 11, 13. მე-20 ქუჩის პირველი ჩიხი 1. 21-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16, 18, 20, 22,24, 26. 21-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1. 21-ე ქუჩის მეორე ჩიხი 1, 3. 21-ე ქუჩის მესამე ჩიხი 2, 4, 6, 8, 10. 22-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16, 18, 20. 22-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4, 6, 8. 23-ე ქუჩა 1, 2, 4, 6, 8, 10, 12. 23-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4, 6, 8, 10. 23-ე ქუჩის მეორე ჩიხი 2, 4. 24-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5. 24-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4. 25-ე ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35, 37. 25-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2. 25-ე ქუჩის მეორე ჩიხი 1. 25-ე ქუჩის მესამე ჩიხი 1. 25-ე ქუჩის მეოთხე ჩიხი 2, 4. 25-ე ქუჩის მეხუთე ჩიხი 1, 2, 3. 25-ე ქუჩის მეექვსე ჩიხი 1. 26-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10. 26-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 27-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12. 27-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 5. 27-ე ქუჩის მეორე ჩიხი 1, 2. 27-ე ქუჩის მესამე ჩიხი 2. 28-ე ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 19, 21, 23, 25, 27. 28-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. 28-ე ქუჩის მე - 2 ჩიხი 2, 4. 28-ე ქუჩის მე - 3 ჩიხი 1, 2, 3, 4. 28-ე ქუჩის მე- 4 ჩიხი 1, 3, 5.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მურად წივწივაძე

(მცირე მოგონება)



ტანმაღალი გახლდათ, სასიამოვნო გარეგნობის, ოდნავ შესამჩნევი წყვეტილი მეტყველება რაღაცით კარგით გიზიდავდათ. ინტელიგენტური ქცევით სიმპათიას იწვევდა. წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა თერჯოლის რაიონულ სავაჭრო (კოოპერატივი) ორგანიზაციას, ახლო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა და გარკვეულ წილად დახმარების ხელსაც უწვდიდა თერჯოლის „საპოვნელას“ ფეხბურთელთა გუნდს.

მის ღვაწლს რაიონის ეკონომიკის აღმავლობის საქმეში შესაბამისად აფასებდნენ, როგორც ადგილობრივ, ისე ზემდგომ მმართველ უწყებებშიც.

ქუთაისის „ტორპედოს“ საუკეთესო მცველის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ფეხბურთის მოყვარულთა გულებში.

გვეამაყებოდა მისი თერჯოლური (ს. კვახჭირი) წარმომავლობა. გვენანება, რომ არც ისე ხანდაზმული გამოაკლდა ჩვენს რიგებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

**თერჯოლელი ვეტერანი ფეხბურთელების სახელით**

**ნუგზარ გამყრელიძე**

# ქართლოს ჭუმბურიძის სახელობისა...

## მინი ფეხბურთი მასშტაბებს ზრდის

ბარდუბნის თემის სოფელ სათემოს საფეხბურთო მოედანზე ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული ფეხბურთის მოამაგისა და პოპულიზატორის, ბარდუბნის მკვიდრის, ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში. მასში მუნიციპალიტეტის სამი ადმინისტრაციული ერთეულის რვა გუნდი მონაწილეობდა.

9 აგვისტოს მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა პირველი, მეორე და მესამე-მეოთხე ადგილებისათვის მებრძოლთა გამოსავლინებელი შეხვედრები.

ლი ტურნირი ტარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით. გათამაშებას კი, როგორც წესი იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია (ხელმძღვანელი თერჯოლის „საპოვნელას“ ყოფილი მოთამაშე დათო რუხაძე) უკეთებს ორგანიზაციას.

დასკვნითი ტურის მატჩების სანახავად მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი—ამ დღეს ფეხბურთმა ერთხელ კიდევ დაგვანახა თავისი ხიბლი და სილამაზე.

ასპარეზობებს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე



გთავაზობთ შედეგებს:

ქვედა და ზედა სიმონეთელთა პაექრობაში გამარჯვების ფორტუნა ზედასიმონეთელთა („მუზეუმი“) მხარეს აღმოჩნდა. მათ ქვედა სიმონეთელი ბედისმაძიებლები დამაჯერებელი ანგარიშით (4:1) დაჯაბნეს და მესამე საპრიზო ადგილიც გაინაღდეს.

საინტერესოდ და ქვ. სიმონეთის „მაჩიტიძეების“ უბნის გუნდისთვის დრამატულად წარიმართა მათი და ბარდუბნის „მერანის“ ორთაბრძოლა. საკუთარი მაყურებლის მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულმა ბარდუბნელებმა, რო-

მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მირზა ქოჩიაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელი გურამ თურქაძე, ასევე წარმოდგენილი სოფლების თავკაცები, საზოგადოების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები...

მოასპარეზეთ მიესალმა და შემდგომი წარმატებები უსურვათ სპორტსა და ცხოვრებაში ბატონმა ლაშამ. მუხლის ძალა შეუქო ბიჭებს და შესაბამისი ჯილდოებიც გადასცა მათ. მან ასევე გამოთქვა სურვილი, რომ უფრო გაფართოვ-



გორც იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს მეტოქეს და ექვსი უპასუხო გოლით ისტორიული გამარჯვება ჩაიწერეს თავიანთ დავთარში.

მათ მესამედ მოიპოვეს ტურნირის გამარჯვებულის ტიტული.

ვულოცავთ. აქვე მოგახსენებთ, რომ უკვე მეექვსე წელია, რაც აღნიშნუ-

დეს ტურნირის მასშტაბები, რამეთუ ფეხბურთი განსაკუთრებით უყვართ საქართველოში.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა მადლიერება გამოუხატა და თანადგომას დაპირდა ტურნირის ორგანიზატორებს.

**ნუგზარ გამყრელიძე**

***P.S. ერთი საყურადღებო ფაქტის შესახებ—ფეხბურთის ადგილობრივი გულშემატკივრები და ტურნირის მონაწილეები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ სათემოს საფეხბურთო სტადიონს მიეკუთვნოს ქართლოს ჭუმბურიძის სახელი.***

# მარადიული ხსოვნა

## ზურაბ იშხნელი—მას სიყვარულის გავალება ჰქონდა

ორმოცმა დღემ შეუმჩნევლად განვლო... ჩვენ კი, ოჯახს, ახლობლებს გვგონია, რომ ისევ ჩვენთან არის, ისევ ის ხალისიანი, იმედიანი, მოსიყვარულე „ზურიკა“. ბავშვობაში სიყვარულით შერქმეული სახელი მოხუცებამდე შემორჩა, ასე ვეძახდით შინ და გარეთ.

შვენოდა ჯანსაღი იუმორი. უფალმა დაანათლა მას ხალხის სიყვარული, ბედნიერდებოდა, როცა სიკეთეს გასცემდა.

დღეს აღარ არის. მარადისობას შეუერთდა. ვალმოხდილი დაგვემშვიდობა და თან გაიყოლა ოჯახის საფიქრალ-საზრუნავი... დიდი ტკივილი წაიღო, რა თქმა უნდა, საყვარელი შვილიშვილების, ლამაზი გოგონების ქეთისა და ანის მოულოდნელი, ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ორმოცი დღის წინ დაიწყო იმქვეყნიური ცხოვრება. ნათელში გვიმყოფოს, რომ მისმა სულმა მარადის დაივანოს ცათა შინა.

ზურაბ იშხნელი—საზოგადოების ღირსეული წევრი.

ზურაბ იშხნელი—ოჯახის ბურჯი, რომელსაც რუდუნებით ქმნიდა მოსიყვარულე მეუღლესთან, გიული ცინცაძესთან ერთად. სამწუხაროდ, მას განგებამ ჯერაც ახალგაზრდას და ამქვეყნიური არსობის ყველაზე დიდი სამკაულის მესაკუთრეს მარადიული საცხოვრებელი ნაადრევად მიუჩინა ანგელოზების ფრთებქვეშ.

შვილები: თინა, ნინო და გია იშხნელები, რძალი ნათია გველესიანი, სიძე გია აბულაძე, შვილიშვილები: ზურაბი, ნუცა და გიორგი, შვილთაშვილები: ანასტასია და გიორგი სათუთად შევინახავთ ძვირფასი ადამიანების ნათელ ხსოვნას.



შემდეგ...

შემდეგ ოჯახის დიასახლისობა ასევე კეთილშობილ ადამიანს, თამარ გურგენიძეს არგუნა განგებამ. მისდა სასახელოდ ოჯახის ტრადიციები ისევ რჩებოდა უცვლელი. ისევ სუფევდა ურთიერთგაგებისა და ღირსებებისადმი პატივისცემის ატმოსფერო.

ქალბატონი თამარისადმი, როგორც მკურნალისა და მოქალაქის შესახებ, რომელიც სამწუხაროდ მეუღლეზე ხუთიოდე დღით ადრე გარდაიცვალა სინანულით, სიყვარულითა და სითბოთი წერდნენ გაზეთ „თერჯოლაში“ ჩხარის საექიმო ამბულატორიის მეგობარ-კოლეგები.

მადლობას ვუხდით მათ ამისათვის.

ალბათ სიმბოლურია, რომ უფალმა ოჯახის ორი წევრი ერთდროულად შეავედრა ზეციერს...

ქრისტესმიერი ჟამთააღმწერნი ალბათ მოუთხრობენ მომავალ თაობებს როგორ უნდა იცხოვრონ, როგორ გაიღონ, როგორ უყვარდეთ...

**ოჯახი**

# ელენე ლიკლიკაძე-ღვინეფაძისა



არსებობს პროფესიები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანთა განვითარების ისტორიაში, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მეანობა. ეს პროფესია გულისხმობს უპირველესად ქალთა დახმარებას მშობიარობის დროს. ეს არის მოწმე იმ პროცესისა, როცა ამ ქვეყანას ევლინება ახალშობილი, როცა დედა უყურებს პატარა არსებას, საოცრებას, მის სისხლსა და ხორცს, მისი სიკეთის გაგრძელებას, იმედს, ქმნილებას, რომლითაც თავს იწონებს, სიამაყეს განიცდის, მიაჩნია რა, რომ ამქვეყნად გააჩნია მისი მსგავსი, სურვილი უჩნდება მას უძღვნას სული და გული, მასში ხედავს მიზეზს, რომლითაც თავს მოიწონებს, ხმას აიმაღლებს, რათა ადგილი დაიმკვიდროს ქვეყანაში, საზოგადოებაში, ოჯახში...

სიტყვა მეანი მოდის ფრანგული სიტყვიდან „აკუსური“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს, ის ვინც დგას საწოლზე და უფრო ნაცნობი მნიშვნელობით—დაბადების თანაშემწე. მეანობა არის ზრუნვა ქალის და მისი ახალშობილის ჯანმრთელობაზე იმ ტკივილისა და სიხარულის თანამონაწილე, რომელიც თან სდევს ამ საკაცობრიო პროცესს.

ამ პროფესიის ადამიანები გამოირჩევიან ქველმოქმედებით, პასუხისმგებლობით, ნდობით, საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ცოდნით, ტოლერანტობით, ემპათიისა და ექსტრემალურ სიტუაციაში რეაგირების უნარით, მოთმინებით, კომუნიკაბელურობით, კეთილგანწყობით, ყურადღებით, ანალიტიკური აზროვნებით.

ყველა ამ თვისების მატარებელი გახლდათ ქალბატონი ელენა ლიკლიკაძე—ღვინეფაძისა. ის ათწლეულობის განმავლობაში მუშაობდა ქვედა სიმონეთის, ჩხარის და თერჯოლის რაიონულ საავადმყოფოებში მეანად.

როცა 70 წელს მიღწეულ ქალბატონ ელენეს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გამოუცხადა, მასაც სხვებივით არ დაეწერა განცხადება, პენსიაში გასვლის შესახებ, რადგან ის კვლავ ძველებური შემართებით გამოირჩეოდა, მან არ მოუსმინა და მისი კოლეგების მსგავსად პენსიაში გავიდა.

კითხვაზე, რატომ არ მიიღო შეთავაზება, პასუხი ასეთი იყო: „ჩემი შვილი ეროვნულ მოძრაობაშია და მას გულს ატკენენ დედას პროტექცია გაუწიაო“.

ქალბატონი ელენა გამოირჩეოდა განსაკუთრებული მზრუნველობით ადამიანების მიმართ. მასთან მსუბუქი ავტომობილით მისულ შვილს ავალებდა, რომ ჯერ მისი კოლეგები მიეყვანა სახლებში და ბოლოს თავად ბრუნდებოდა ოჯახში, „ფეხით გაუჭირდებათ შინ დაბრუნებაო“.

ქალბატონ ელენეს 7 სექტემბერს 100 წელი შეუსრულდებოდა. გარდაიცვალა 95 წლის ასაკში. ვალმოხდილი წავიდა ის ამქვეყნიდან. ორი შვილი, სამი შვილიშვილი, ერთი შვილთაშვილი სიამაყით იგონებენ ღვაწლმოსილ ქალბატონს, ან სხვაგვარად როგორ იქნება, როცა ქალბატონი ელენეს თანამედროვე თაობების დიდი პროცენტი მისი დახმარებით მოევლინა ამ ქვეყანას.

მარადიული იყოს ხსოვნა, უფალმა გაუნათოს ცათა სასუფეველი.

**შვილები: მურმანი, მურადი ღვინეფაძეები, რძლები: ცარო ჭელიძე, იზოლდა გოგიშვილი, შვილიშვილები: სალომე, ელენე, გიორგი ღვინეფაძეები, შვილთაშვილი შალვა ლანჩავა**

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამირან მარუაშვილს მეუღლის

**მაგული მარუაშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ დაიღუპა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**ჰამლეტ მემანიშვილი**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

# „საქმით ვებრძვით ძალადობას და სიღარიბეს“...

***მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში, რამდენიმე წელია არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, რომელიც ცენტრის წრეებისა თუ კლუბების მუშაობის პარალელურად თავის ასახვას ჰპოვებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივი თუ ინტელექტუალური აღზრდის კიდევ უფრო სრულყოფასა და შემდგომ განვითარებაში.***

***ამჯერად ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობს პროექტი „საქმით ვებრძვით ძალადობას და სიღარიბეს“. პროექტს ახორციელებს ა(ი)პ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობის აღზრდის კავშირი „ბავშვები საქართველოს მომავალი“. პროექტი მიმდინარეობს კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ დაფინანსებით.***

პროექტის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე— „ძალადობა ოჯახში, ადგილობრივი პროგრამები და სხვა სახელმწიფო სერვისები“, რომელსაც უძღვებოდა რუსუდან კოვზირიძე. ამასთან, პროექტის ფარგლებში დაკომპლექტდა და 15 ივლისიდან მუშაობას შეუდგა თექისა და ხალიჩების ქსოვის შემსწავლელი ჯგუფი. ერთი თვის განმავლობაში შვიდი თერჯოლელი ქალბატონი გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ ვე ხალიჩების ქსოვის შესწავლასა და აღნიშნული პროფილით დასაქმების თვალსაზრისით გაზრდილია, ამიტომ პროექტის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ვიდრე თუნდაც ამ ქალბატონების ინტერესი, თექის მოთელვის თუ ხალიჩის ქსოვის პროცესისადმი. თუმცა ,არავინ იცის რას იზამენ ისინი მომავალში. არ არის გამორიცხული ზოგიერთმა მათგანმა პროფესიადაც გაიხადოს ან თუნდაც საკუთარი ხელით ქსოვას დაეუფლოს. რაც შეეხება ნანა გეწაძეს, ამბობს, რომ ახლა, ბავშვობისდროინდელი ოცნების ასრულებას შეძლებს, სვანურ ქუდებსაც დაამზადებს, თბილ ჩასაცმელებსაც და არ არის გამორიცხული სამომავლოდ ნაბადიც მოთელოს...



თითოეული გაკვეთილი საინტერესოა და უფრო მეტიც, წასვლაც არ გვინდა, მთელი დღე შეგვიძლია მუშაობა და ეს ყველაფერი ჩვენი „მასწავლებლის“ ხათუნა გურულის დამსახურებააო, ამბობენ. ძალიან მარტივად და გასაგებად გვასწავლის და თუ ცოტა მაინც გიყვარს ხელსაქმე, არ შეიძლება არ შეგექმნას ილუზია და იმედი იმისა, რომ ყველაფერი გამოგივა...

მეოთხე „გაკვეთილზე“ მათ უკვე იციან თეორიულად და პრაქტიკულადაც როგორ უნდა ქსოვონ ხალიჩა დაზგაზე, პარალელურად როგორ უნდა გააფორმონ ორნამენტებით... მანამდე კი თექას მოთელვაც ისწავლეს და მისგან საინტერესო ნამუშევრები უკვე მოამზადეს...

პროექტით განსაზღვრული დრო მალე ამოიწურება. ბუნებრივია, ეს მოკლე კურსი საკმარისი არ იქნება ქალბატონებმა ყველაფერი ბოლომდე კურსს გაივლიან და თექისა და ხალიჩების ქსოვის ძირითად პრინციპებს დაეუფლებიან.

მათ სწავლებას ხელმძღვანელობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის კლუბის კოორდინატორი ხათუნა გურული.



ხელსაქმეს საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რთვა, ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. ბუნებრივი მატყლის ძაფისაგან საქართველოში უძველესი დროიდან იქსოვებოდა შალის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები.

ხალიჩა მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმია, რომელიც მხატვრული ორნამენტებით—ხასიათდება. ხელით ნაქსოვი ხალიჩების მთავარი მხატვრული ღირებულებებია ორიგინალური სურათი და კოლორიტული სტილი.

თექა მოთელილი და დამუშავებული მატყლის საფენი ქეჩაა. საქართველოში მას ისტორიულად ამზადებდნენ თუშეთში, კახეთში, ხევსა და ჯავახეთში. სახიანი თექის საუკეთესო ნიმუშია „ნაბადი“, რომელიც მზადდება თუშეთში. თუშური თექა გამორჩეულია მარტივი და დახვეწილი ორნამენტებით.

თექის დამუშავება და მომზადება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, მაგრამ შედეგი ყოველთვის საუცხოო.

ქართველ ქალბატონებს კი ყოველთვის ჰქონდათ ნიჭი, უნარი და გემოვნება საინტერესო და მიმზიდველი ნამუშევარი შეექმნათ. დღეისათვის მოთხოვნილება როგორც თექის, ასევე ხალიჩის დამზადებული ნივთები თუ ჩასაცმელ დასახურავი შემატონ ოჯახებს, ოჯახის წევრებს და არა მხოლოდ მათ.

ერთი გაკვეთილი, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის პირადად გარკვეული წარმოდგენა შემქმნოდა და სურვილიც გამჩენოდა მონაწილეობა მიმეღო, როგორც ხალიჩის ქსოვის, ასევე თექის მოთელვა, დამუშავების პროცესში. ამიტომ გასაკვირიც არ არის თითოეული მათგანის ინტერესი.

თეონა ჭანტურიძე პროექტში ხელსაქმის სიყვარულით მოვიდა. მას ყაისნაყით ქსოვის ცოდნა და გამოცდილება აქვს და როგორც თავად ამბობს კარგ ნამუშევრებსაც ქმნის; შეროზია ხატიას ძალიან სიამოვნებს და მოსწონს თექასა და ხალიჩებზე მუშაობა და მომავალში ამ კუთხით მუშაობის გაგრძელებაზედაც ფიქრობს. ასევეა ნინო მელქოაშვილი, ხელსაქმე უყვარს, კერვა, ქსოვა და ა.შ. დიდი სურვილი აქვს ახლა თექასა და ხალიჩის სრულყოფილად შეისწავლონ და ისე გააგრძელონ მუშაობა დახმარება აღარ დაჭირდეთ, თუმცა ხათუნა მასწავლებელი მათ პირდებათ, რომ ნებისმიერ დროსა და მომენტში შეუძლიათ მოვიდნენ მასთან და მზადაა გარკვეული კონსულტაციები გაუწიოს თითოეულ მათგანს.

იმედია, ყველა, შვიდივე ქალბატონი თუ არა, რომლებიც პროექტში არიან ჩართულები, რომელიმე მათგანი მაინც გააგრძელებს მუშაობას და კარგადაც დაეუფლება უძველესი საუკუნეებიდან მოყოლებული ქართველი ქალბატონებისათვის საყვარელ და აუცილებლად საჭირო, ტრადიციულ ხელსაქმეს, რომელიც ადვილი შესაძლებელია წაეხმაროს მათ სამომავლო საქმიანობაში და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაშიც... რამდენადაც შესაძლებლობა ექნებათ დასაქმებისა და თვითრეალიზებისათვის.

## ხათუნა გურული

ხათუნას „თერჯოლას“ მკითხველის წინაშე წარსდგენა არ სჭირდება. მან, თერჯოლაში 24 წლიანი პედაგოგიური საქმიანობის მანძილზე, არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა როგორც თერჯოლის №1 საჯარო სკოლას, სადაც 1996 წლიდან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგად მუშაობს, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრს, როგორც თექა-გობელენის კლუბის კოორდინატორმა.



მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხალიჩებისა და გობელინის წრის ორი ყოფილი მოსწავლე მაკა ლუტიძე და ეკა რობაქიძე, სწავლის დასრულების შემდეგ, სპეციალობად ირჩევს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ნასწავლ ხალიჩებისა და გობელინის პროფესიას და თითოეული მათგანი ქ. თბილისში, 2000 წლიდან, ხსნიან მცირე საწარმოს და დღესაც დაკავებულები არიან აღნიშნული სპეციალობით—ხალიჩების და გობელინის დამზადებით...

ხათუნა გურული და მისი მოსწავლეები 1996 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად, არაერთ გამოფენა-კონკურსში მონაწილეობენ, რომლის დროსაც იღებდნენ მაღალ შეფასებებს და შესაბამისად სათანადოდ ჯილდოვდებოდნენ. თექა-გობელენის კლუბმა ამ ხნის მანძილზე, ქვეყნის მასშტაბით, 60-ზე მეტ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც კლუბის მოსწავლეები, პედაგოგი და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექცია დაჯილდოებულნი არიან საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს, საქართველოს განათლების სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის იმერეთის მხარეში და ა.შ. სიგელებით, დიპლომებით და სხვადასხვა საჩუქრებით.

კლუბი მონაწილეობდა აგრეთვე მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე: ქ. კაბადოკიაში, ქ. ბაქოში, ქ. ვარშავაში, ქ. ბარტინში, ქ. პარიზში. ყველგან შესაბამისი პრიზები და დიპლომები დაიმსახურეს. პარიზის ფესტივალზე კი მოსწავლეები და თავად მასწავლებელი დააჯილდოვეს დიპლომებით, თასით და მედლით.

ყველას ჩამოთვლას ვერ გავაგრძელებ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარიზში ახლა გაყიდვაშია ფრანგულ ენაზე გამოცემული ზღაპრების წიგნი, რომლის ილუსტრაცია ეკუთვნის თერჯოლელ მოსწავლეებს ქრისტინა მაკარიძეს და მარიამ მუჯირს, ხოლო ზღაპრების გმირები, თოჯინები—რწყილი და ჭიანჭველა ფრანგული გამომცემლობის მედუზას რედაქტორის თხოვნით შეასრულა ხათუნამ და ისიც ახლა, წიგნთან ერთად, იყიდება საფრანგეთის წიგნის მაღაზიებში.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია...

იმედია, ხათუნას, მოსწავლეების მსგავსად, პროექტის მონაწილე ქალბატონები წარმატებით გამოიყენებენ თექა-ხალიჩის კურსის გავლისას მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში.

**მზია ცქიფურიშვილი**

## ვულოცავთ!

**ეკა სოფრომაძე-კლდიაშვილს...**

ჩვენო ეკა, სწავლაში, შრომა-გარჯაში, ქმარ-შვილის სიყვარულსა და ირგვლივ სიკეთის თესვაში, აგერ — 50 წელიც შემოგეპარა!

ულევად ყოფილიყოს შენს ცხოვრებაში სიხარული და ბედნიერება, გაიხარე შენს მეუღლე ელგუჯასა და სამ უკეთილშობილეს შვილთან ერთად! ღმერთი გფარავდეთ!

**მანანა და დავით კლდიაშვილები**

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი ვალერიან გოგიაშვილი 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი დავით კლდიაშვილი 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872